ინოვაციური ეკონომიკა
და მართვა

INNOVATIVE ECONOMICS
AND MANAGEMENT

გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკა: პრობლემები, ტენდენციები და პერსპექტივები

GLOBALIZATION AND REGIONAL ECONOMY: PROBLEMS, TRENDS AND PERSPECTIVES

ლაშა მანველიძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
l.manvelidze@yahoo.com
orcid.org/0000-0001-5631-312

შემოსულია რედაქციაში:
თებერვალი, 2019
რეცენზირებულია:
მარტი, 2019

LASHA MANVELIDZE,
Doctorate of Economic and
Business Faculty
Batumi Shota Rustaveli State University
l.manvelidze@yahoo.com
orcid.org/0000-0001-5631-312

Received: February, 2019
Accepted: Mart, 2019

ანოტაცია. ნაშრომში გადმოცემულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის, რეგიონის სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ფინანსური სტრატეგიების, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს სრულყოფა-მოწესრიგების საკითხები. შესაბამისად, კვლევის ობიექტია მეზოდონის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სისტემები. კვლევის კონკრეტულ ველად აღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური სივრცის შემადგენელი ნაწილი. კვლევის საგანია რეგიონის საზოგადოებრივი განვითარების სისტემის მექანიზმის თეორიული, მეთოდოლოგიური, მეთოდური და პრაქტიკული ასპექტები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის საგანს, არ წარმოადგენს ყველა ის მრავალრიცხოვანი ასპექტი, რომელიც ქმნის ამ სისტემის შინაარსს. ჩვენ მიერ განიხილება მხოლოდ ის ასპექტები, რომლებიც მიეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმს. კვლევის ობიექტია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს სტრუქტურა, რომელიც აღნიშნული საგნის პარამეტრების ზემოქმედებითა და დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით განიცდის მუდმივ განახლებას თანამედროვე გლობალიზაციის და ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პირობებში.

კვლევის პროცესში გამოყენებულია მოვლენების, პროცესებისა და ფაქტების ანალიზის და შეფასების თანამედროვე მეთოდები. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები რეგიონული ეკონომიკის, მართვისა და მათ შემადგენელ ცალკეულ ასპექტებზე. აგრეთვე, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების მემორანდუმები და ნორმატიული დოკუმენტები, საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამთავრობო ეკონომიკური სტრუქტურების მიერ შემუშავებული ქვეყნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების პროექტები და პროგრამები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცemები, ასევე ავტორთა მიერ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების მიხედვით განხორციელებული კვლევის შედეგები.

კვლევის შედეგად დასაბუთებულია, რომ გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას, ეკონომიკურ სივრცეთა დივერსიფიკაციას, რეგიონების ფინანსური, რესურსული, სამეწარმეო, ინფრა-

სტრუქტურული და სხვა პროექტებისა და სტრატეგიების შემუშავებას. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელია ქვეყნის ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონწარმომქმნელი ფაქტორების ის თავისებურებები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონული ბაზრების ფუნქციონირების ეფექტურობას, საკუთრების სხვადასხვა ფორმების ოპტიმალურ ურთიერთშეთანაწყობას, ევროინტეგრაციის პროცესში სრულყოფილ ჩართულობას.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი; გლობალიზაცია; ბიზნესი; რეგიონული ეკონომიკა; მუნიციპალიტეტი; კლასტერი; სპეციალური ზონები.

ABSTRACT. The work deals with the improvement of social relations in socio-economic development of the country, the perfection problems of the structural-organizational and financial strategies, the investment and business environment of the region.

In the globalization conditions, with modern approaches, it is substantiated the priority of the regional economic development, the purpose of diversification of economic spaces, the necessity to develop the strategies and projects of regional financial, resource, entrepreneurial, infrastructural and other processes. The peculiarities of the territorial division of the country and regional factors are presented, which ensure the efficiency of functioning of the regional markets, the optimal interdependence of different forms of ownership, the complete engagement in the process of European integration.

Keywords: Region, Globalization, Business, Regional economy, Municipality, Cluster, Special Zones

JEL Classification: R1, R11

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული განვითარება ზოგადად ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ის მოიცავს საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა თუ ასპექტს. დღეს, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სისტემურობის თვალსაზრისით, დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, აუცილებელია დაიწყოს ცენტრსა და რეგიონებს შორის პოლიტიკურ უფლებამოსილებათა გადანაწილების პროცესი. შესაბამისად, პრიორიტეტული ხდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური შესწავლა. ამავე დროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა დაეყრდნოს როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას. ამ პროცესში აუცილებელია საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციისა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში რეგიონული ეკონომიკის პრობლემატიკას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ბოლო პერიოდის მანძილზე შესწავლილია სახელმწიფო რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო სისტემის ტერიტორიული ორგანიზაციის, სოციალური ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური რეფორმის განხორციელების აქტუალური საკითხები.

ამ პრობლემებმა სხვადასხვა ფორმით ასახვა ჰპოვეს მეცნიერულ გამოკვლევებში, რომელთა ავტორები არიან ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები: რ. ასათიანი, თ. ბერიძე, გ. გამსახ-

ურდია, რ. გოგოხია, ვ. ზურაბიშვილი, რ. კაკულია, ვ. მელქაძე, ე. მექვაბიშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, შ. ქისტაური, ლ. ჩიქავა, ე. ხარაიშვილი, მ. ჯიბუტი, ნ. ჭითანავა, ვ. ღლონტი, რ. მანველიძე და სხვები. მათ შექმნეს სათანადო თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა ქვეყნის და მისი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი პრობლემატიკის, მათ შორის რეგიონების საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს განვითარებასა და მართვასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტის მეცნიერული და პრაქტიკული შეფასების თვალსაზრისით. რიგ პუბლიკაციებში, რომლებიც ეძღვნება რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკას და მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების სფეროებს, არ არსებობს მკვეთრი გამიჯვნა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეს შორის. მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტი და რეგიონი, მთ შორის განსაკუთრებით ავტონომიური რესპუბლიკა სტრუქტურული, ორგანიზაციული და ფინანსური თვალსაზრისით განსხვავებული დონეებია.

ძირითადი ტექსტი

ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული საკითხების კვლევა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული მოვლენების, პროცესებისა და ფაქტების ანალიზის და შეფასების მეთოდები. კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები რეგიონული ეკონომიკის, მართვისა და მათ შემადგენელ ცალკეულ ასპექტებზე. აგრეთვე, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების მემორანდუმები და ნორმატიული დოკუმენტები, საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამთავრობო ეკონომიკური სტრუქტურების მიერ შემუშავებული ქვეყნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების პროექტები და პროგრამები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები. ასევეავტორის მიერ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების მიხედვით განხორციელებული კვლევის შედეგები.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზანია ზემოაღნიშნული საკითხების გააზრებისა და გათვალისწინების საფუძველზე საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ღირებულებითი ტრანსფორმაცია ცხოვრების ახალი, თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისობასთან, რომელიც უზრუნველყოფს სოციალ-ეკონომიკურ განვითარების ახლებურ მიმართულებებს. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, ავირჩიოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო დასაბუთებული სტრატეგია, რომელიც აგვარიდებს სოციალურ დაძაბულობებს და შეცდომების განმეორებას. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობების პოზიცია იმის შესახებ, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა განხორციელდეს რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებისა და საზოგადოების მაღალი ჩართულობის საფუძველზე [6].

გლობალიზაციის ძირითადი გამოწვევები კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დისკუსიას რეგიონული ეკონომიკის თავისებურებების, კონკურენტუნარიანობის, მიმზიდველობის და ინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობის ხარისხის თაობაზე. ამასთან, მკვეთრად იზრდება გარკვეული მოსაზრებები, არგუმენტები და თეორიები მისი სოციალური ბუნების, სოციოლოგიური მახასიათებლების, ქვეყნის ცენტრალური და რეგიონული მმართველობითი და თვითმმართველობითი ორგანოების დამოკიდებულების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების სრულყოფის შესახებ [1;2].

კვლევები გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო იზრდება რეგიონული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულობა, რასაც შემდეგი წინაპირობა გააჩნია:

— სულ უფრო ვითარდება რეგიონული და რეგიონთაშორისი კავშირები;
— კიდევ უფრო მიზნობრივი და საბოლოო შედეგზე ორიენტირებული ხდება ეკონომიკურ სივრცეთა დივერსიფიკაცია;
— განუხრელად მაღლდება ფედერალურ და ადგილობრივ დონეებზე ორიენტირებული რეგიონების შედარებითი ავტონომიის ხარისხი;
— კიდევ უფრო მასშტაბური გახდა იმ სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავება, რომლებშიც აისახება რეგიონების ფინანსური, რესურსული, სამეწარმეო, სამრეწველო, სამეცნიერო -ტექნიკური, ინტელექტუალური და სხვა პოტენციალი.

აღნიშნულ ტენდენციებს აქვთ ერთი საერთო საფუძველი, რომ რეგიონული განვითარება წარმოადგენს საზოგადეობის ეკონომიკური კეთილდღეობის, დემოკრატიული გარემოს ფორმირების, რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სტაბილურობის ხელშემწყობ სტრატეგიულ მიმართულებას. ამავე დროს საბაზრო გარდაქმნები განაპირობებს რეგიონის საზოგადოებრივი განვითარების პოტენციალის ზრდას, სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების მეთოდების როლის ამაღლებას, რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოყენების ხარისხის ზრდას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვის დეცენტრალიზაციას, ეკონომიკური რეგიონული პოლიტიკის დელეგირებას მმართველობის ქვედა დონეზე.

რეგიონული წარმოება, რომელიც პირველ რიგში, მოიცავს საწარმოო და არასაწარმოო სფეროს ერთად თავმოყრას; იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთობებს, რომელთა მიზანია შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება, მოსახლეობისა და გარემოს მდგრადი კვლავწარმოების ერთობლივად განხორციელება; ინტენსიფიკაციის ტერიტორიული წყაროების რაციონალურ შეთანხმებას დარგობრივ სპეციფიკასთან; მართვის ეფექტური მექანიზმების გამოყენებას, განამტკიცებს მაკროეკონომიკურ გარემოს, აამაღლებს ეროვნულ კონკურენტუნარიანობას. რაციონალური ძალისხმევით კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მიზნობრივ სოციალ-ეკონომიკურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, მმართველობით პროცესებს, ხელს უწყობს ტრადიციების, საზოგადოებრივი ფასეულობების მასშტაბების გაფართოებას, ეკონომიკის მაფორმირებელი დარგების რაციონალურ შეთანაწყობას და მდგრად განვითარებას.

კვლევამ დადასტურა, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კომპლექსური განვითარების პრობლემა, მისი ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე ძირითადი სოციალური ამოცანების გადაჭრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია რეგიონული ეკონომიკის პრობლემატიკაში. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კვლევა გვიჩვენებს, რომ:

1. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ობიექტური კანონზომიერება განაპირობებს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ფორმირებას. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო დასაბუთება, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის რეფორმის განხორციელების სამეცნიერო რეკომენდაციები დღემდე, პრაქტიკულად, სრულად არ არის ჩამოყალიბებული;
2. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემას პრიორიტეტულად აქცევს რეგიონული ეკონომიკური ავტონომიურობის გაძლიერების პირობებში ქვეყნის ახალი ეკონომიკური სივრცის ფორმირების მოთხოვნა;
3. რეგიონის დონეზე სოციალ-ეკონომიკური პრობლემების კომპლექსის დამოუკიდებლად გადაჭრის აუცილებლობა განაპირობებს ღრმა და ყოველმხრივ სამეცნიერო დასაბუთებას; ამიტომ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ყველა რეგიონისათვის.

დღეს, საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის პრიორიტეტია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის ხარისხის გაზრდა. შესაბამისად, მიმდინარეობს სამართლებრივი, ინსტიტუციონალური და

სტრუქტურული მექანიზმების სრულყოფის პროცესი, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე. სულ უფრო იზრდება მიმზიდველი გარემოს ფორმირების მცდელობა ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის, რეგიონის საწარმოო, ინფრასტრუქტურული, ბუნებრივი და სხვა რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და მართვისათვის.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები წარმოადგენს ხელისუფლებას, მოსახლეობასა და ბიზნესს შორის კომუნიკაციის თვისობრივი განაწილების საფუძველს, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეგიონული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმა, ევროკავშირთან ასოცირება, გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობის მაღალი ხარისხი, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები არაერთ განვითარებულ ქვეყანასთან, ახალ თვისებებს შესძენს ტერიტორიულ დაყოფასა და რეგიონწარმომქმნელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ეკონომიკური სტრატეგიებისა და ბუნებრივი რესურსების, საწარმოო პოტენციალის, სამეწარმეო თავისებურებების შესაბამისობა, წარმოების პრიორიტეტული დარგებისა და სპეციალიზირებული წარმოების შეხამება, ფუნქციონალურ დარგთა სტრუქტურების შედარებითი მსგავსება, რეგიონული ბაზრების ფუნქციონირების პირობები, საკუთრების სხვადასხვა ფორმების ურთიერთ შეთანაწყობა, საბაზრო ინფრასტრუქტურა, ბაზრის მარეგულირებელი ფაქტორები, ეკოლოგიური ინტერესები, დემოგრაფიული მდგომარეობა, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობა და სხვ.

მსოფლიო გამოცდილება რეგიონული განვითარებისა და ზოგადად რეგიონული პოლიტიკის სახელმწიფო რეგულირების თაობაზე მოწმობს, რომ აღნიშული პრობლემა გულისხმობს არაერთი კომპონენტის კვლევას, მათ შორის: რეგიონალური განვითარების რეგულირების ინსტიტუტები; ტერიტორიულ მოწყობასა და რეგიონების თავისებურებებს; რეგიონების სტრუქტურასა და მართვის სამართლებრივ საფუძვლებს; სოციალური და ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს; რეგიონულ ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სახელმწიფოს წარმატებულ განვითარებას განაპირობებს ხელისუფლების მზარდი დემოკრატიზაციისაკენ მისწრაფება და რეგიონისათვის კიდევ უფრო მეტი ფუნქციონირების დელეგირება ან გადაცემა. სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოებრივი მმართველობითი პრინციპების მაღალი ჩართულობა. თავისებურებაა ისიც, რომ რეგიონებში მოქმედებენ ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული სამსახურებიც, მაგრამ ფუნქციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი სტრუქტურებით.

რეგიონული განვითარების თანამედროვე არსის გაგებაში მნიშვნელოვანია ისეთი ცნებების სიღრმისეული კვლევა, როგორიცაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, სპეციალური ეკონომიკური ზონა, მეწარმეობის ზონა, ოფშერული ზონა, ტექნიკურ-დანერგვითი ზონა და სხვ. ამ მიმართებით აქტუალური და ფასეულია ევროკავშირის გამოცდილება, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის და სოციალურ-ეკონომიკური დონეების დაახლოების უმნიშვნელოვანესი მიღწევა მე-20 საუკუნეში. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ხორციელდება ერთიან ევროპულ პოლიტიკასთან სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ინტერესების შეხამება.

მნიშვნელოვანია, საქართველოში ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივ თვითმმართველობის დონეებზე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების დამკვიდრების, ამ მიმართებით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესწავლა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა აქტუალურია ერთის მხრივ, ქვეყანაში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნება და მეორეს მხრივ, რეგიონული უპირატესობის რაციონალური გამოყენება, მათი საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრირება.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და პროპორციების შესწავლამ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა ის ცვლილებები, რომლებიც მოიცავს რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკაში სტრუქტურულ და ინსტიტუციონალურ განახლებას, მსხვილ საწარმოთა კლასტერიზაციის რე-

გიონულ თავისებურებებს, [1;3] დარგობრივ თავისებურებებთან უცხოური ინვესტიციების შესაბამისობას, საწარმოო რესურსების ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს ევროკავშირის სტანდარტების რეგიონალურ ეკონომიკურ თავისებურებებთან, ქვეყნების რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსნაციონალურ და გლობალურ პრინციპებზე დაფუძნებას. შესაბამისად, აქტუალურად მიგვაჩნია რე-გიონული ეკონომიკის ანალიზის, შეფასებისა და პროგნოზირების მეთოდების სრულყოფის საჭიროება. [4] მათ შორის, რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების ინდექსის შემუშავება, რომელიც დაგვეხმარება განვსაზღვროთ განვითარების მასშტაბები, არსებული მდგომარეობა და პრობლემები. შეფასების ინდექსი უნდა დაეფუძნოს სტრუქტურულ, ინსტიტუციონალურ, საფინანსო-ეკონომიკურ, დარგობრივ და რესურსულ მონაცემებს.

ამრიგად, საქართველოში რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალურ ამოცანათა შორის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება მათ ფუნქციონირებაში, როგორც რეგიონული პრინციპებისა და ფასეულეობრივი სისტემის, ასევე მექანიზმებისა და ტექნოლოგიების თანაზომიერი დამკვიდრებისა და განვითარების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, რეგიონულ დონეზე აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრინციპების დამკვიდრების მთავარი გამოწვევების შესწავლა, ამ მიმართულებით ძლიერი და სუსტი ფაქტორების იდენტიფიცირება, დაჯგუფება და რეალიზაციის მექანიზმების შემუშავება, მათი დროსა და სივრცეში აღქმა წარმოადგენს მნიშვნელოვანი თეორიული კვლევისა და პრაქტიკული ინტერესის საგანს.

დასკვნა

1. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის, რეგიონის სოციალური არსის და ორგანიზაციულ-ეკონომიკური მდგომარეობის, მუნიციპალური ერთეულების გეოგრაფიული განლაგებისა და სტრუქტურის მმართველობითი დონეების შესწავლა, ევროპის გამოცდილების გათვალისიწნებით ახლებური მიდგომა აქტუალური საკითხია და აუცილებელია ამ მიმართულებით შედეგზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელება.
2. რეგიონული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები უნდა განვიხილოთ თანამედროვე რეგიონთაშორისი კავშირების, საწარმო პოტენციალის გამოყენების ოპტიმალურ შედეგებზე ორიენტირებული ეკონომიკური სივრცეების დივერსიფიკაციის, მათი ეფექტური გამოყენების უზრუნველმყოფი სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავების გათვალისწინებით.
3. განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს რეგიონებისთვის, მათ შორის მუნიციპალიტეტებისთვის მინიჭებული უფლებების ან დელეგირების საკითხების დაკონკრეტება. ასევე ბიზნესის მართვის, ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ჩართულობის ისეთი ფორმების დამკვიდრების მასშტაბების განსაზღვრა როგორიცაა თავისუფალი, სპეციფიკური, სამეწარმეო, ტექნოლოგიური ან სხვა ზონები. ჩვენი აზრით, მათი ძირითადი მიმართულება და ამოცანა უნდა იყოს ეროვნული ინტერესებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგების სოციალურ-ეკონომიკური მიზნების ურთიერთშეხამება.

ლიტერატურა/REFERENCES:

[1] **ასათიანი რ..** ასათიანი ს., ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია. თბილისი, 2009;

[2] **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., გრძელიშვილი ნ., გალახვარიძე ნ.,** რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა. თბილისი, 2012;

[3] **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმინტია კ.,** საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება, თბილისი, 2008;

[4] **ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ.,** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, 2004;

[5] **მესხია ი., გველესიანი ე.,** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, 2008;

[6] **Глонти В.** (2007), Проблемы регионального развития Грузии. Ж. Экономист, №7.